



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

როგორ სარგებლობს კრემლი ევროპაში  
დასავლურ-აღმოსავლური განხეთქილებით

გიორგი ჯღარკავა

150

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## ექსპერტის აზრი

გიორგი ჯღარკავა

როგორ სარგებლობს კრემლი ევროპაში  
დასავლურ-აღმოსავლური განსხვავებულებით

150

2020



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

ბოლო რამდენიმე წელია აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის არსებული განხეთქილება სულ უფრო შესამჩნევი ხდება. ამ დაპირისპირებას არაერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი. ყველაფერი გლობალური ეკონომიკური კრიზისით დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის თანმხლები ნარატივი ჩრდილოეთისა და სამხრეთის (ესპანურ-ბერძნული დუეტი ფრანკო-გერმანული ტანდემის წინააღმდეგ) დაპირისპირების ჩარჩოში ჩამოყალიბდა, აღნიშნულ დისკურსში მთავარი „დამნაშავე“ მაინც დასავლეთი იყო. ფინანსური მიზეზები სწრაფად გარდაისახა ეროვნულ სენტიმენტებში და გახშირდა მონოდებები „ეროვნული სუვერენიტეტის ლოკალურად დაცვის“ შესახებ. ეკონომიკურმა კრიზისმა გარკვეულ ქვეყნებში დატოვა განცდა, რომ ევროკავშირის ზოგიერთმა სახელმწიფომ მეტი სარგებელი სხვის ხარჯზე ნახა და ამდენად, ნაკლებად ძლიერი სახელმწიფოებისთვის საკუთარი ეროვნული დღის წესრიგის გაძლიერება უფრო პრიორიტეტული უნდა გამხდარიყო, ვიდრე ევროკავშირის დირექტივების დაცვა. ეს ნარატივი არსებობდა ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ნაწილშიც. ფინანსურ კოლაფსს მალევე მოჰყვა მიგრანტთა კრიზისიც, რამაც ფინანსურ რეცესიაზე მეტად შეუწყო ხელი ნაციონალისტური ნარატივების გაძლიერებას. ბრიუსელისა და ზოგი წევრი სახელმწიფოს სურვილი და მცდელობა, მიეღოთ და გაენაწილებინათ იმიგრანტები, ევროკავშირში საკმაოდ ბევრმა სახელმწიფომ აღიქვა ეროვნულ სუვერენიტეტზე პირდაპირ შეტევად. ყველაზე ღიად და აქტიურად ამის წინააღმდეგ უნგრეთი და პოლონეთი გამოვიდნენ – ეს ქვეყნები ამჟამად ევროპაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის განხეთქილების ცხელი წერტილებია. ნარატივის მთავარი იდეა, საკმაოდ ხშირად გამეორებული, გარკვეულწილად ძველიც იყო – მის მიხედვით, ზოგიერთი სახელმწიფო სხვების იძულების გზით ცდილობდა პროცესისგან გარკვეული სარგებლის მიღებას. ეს, თავის მხრივ, ნაციონალისტური დღის წესრიგის მთავარი გამომწვევი მიზეზი გახდა, რისი პირველი შედეგიც იყო ბრექსიტი. ბრექსიტმა შექმნა წარმატების პრეცედენტი ნაციონალისტური ნარატივებისთვის, რომლებიც ევროკავშირის აღმოსავლეთ ნაწილში უკვე ყალიბდებოდა. ამან საბოლოოდ ხელი შეუწყო აღმოსავლეთში იმგვარი გზავნილების გაჩენას, რომელთა მიხედვითაც, საერთო ევროპული იდენტობის იდეამ

არ იმუშავა და ამდენად, გაჩნდა ევროპის კონცეფციის ხელახლა განსაზღვრის საჭიროება. ეს უპირველესად გულისხმობდა ლიბერალიზმისა და გარკვეულწილად დემოკრატიის რევიზიას. პოლონური და უნგრული მაგალითების მოშველიებით წინამდებარე სტატიაში, პირველ რიგში, შევეცდებით დავადგინოთ, აქვს თუ არა ევროპული იდენტობის კრიზისის შესახებ აღმოსავლეთში არსებულ წამყვან ნარატივებს ისტორიული საფუძვლები და, მეორე, ვაჩვენოთ ფართო სურათი, თუ როგორ შეუძლია რუსეთს გავლენა იქონიოს ამ პროცესზე საკუთარი სარგებლის მისაღებად.

პარადოქსულია, თუმცა ჯორჯ ფრიდმანს თუ დავესესხებით, ნაციონალიზმი საკმაოდ ლიბერალური იდეაა.<sup>1</sup> ლიბერალიზმი მხარს უჭერს თავისუფლებას, კანონის წინაშე თანასწორობასა და კონსენსუალურ მმართველობას. ეს უკანასკნელი ჩვენი კონტექსტისთვის უმთავრესი მნიშვნელობისაა. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ თუ ინდივიდებს კონსენსუალური მმართველობის შესაძლებლობა აქვთ, მაშინ იგივე შეუძლიათ საზოგადოებებსაც, რომლებიც იყვნენ ერები. ამგვარად, დაქვემდებარებულ ერებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება. 1980-იანი წლების ბოლოს ეს წარმოადგენდა ლიბერალიზმის გაგებას, მათ შორის, ვარშავის პაქტის სახელმწიფოების უმეტესობისთვის, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მათი იმჟამინდელი რეჟიმები გარე ძალის მიერ იყო თავსმოხვეული. ლიბერალიზმი იყო დასავლეთის სიმბოლო. თუმცა აღმოსავლეთი, ლიბერალური ნაციონალიზმის გარდა, დასავლური კაპიტალიზმითაც იყო მოხიბლული. კრასცევისა და ჰოლმსის მიხედვით, ლიბერალიზმი და კაპიტალიზმი წარმოადგენდა დასრულებულ იდეებს, რომლებიც მუშაობდა დასავლეთში, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით კომუნიზმზე<sup>2</sup>, რასაც აღმოსავლეთ ევროპაში კარგად ხედავდნენ. 1989 წლის რევოლუციებმა კი საბოლოოდ აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნები იმ გზაზე დააყენა, რომელიც დასავლეთის გადმოკოპირებას, შედეგად კი კარგი დროების დადგომასა და ისტორიის დასასრულს წინასწარმეტყველებდა.

1989 წლის რევოლუციებს რევოლუციური იდეების გარეშე ჰქონდათ ორი პრობლემა. პირველი უკავშირდება მუდმივ იმიტაციას. როგორც ჰოლმსი და კრასცევი აღნიშნავენ, პოლიტიკური იმიტაცია „გულისხმობს, რომ მიმიკა მორალური და ჰუმანური თვალსაზრისით ჩამორჩება მოდელს. აღნიშნული ასევე გულის-

ხმობს დაშვებას, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიმბაძველი ერები აღიარებენ დასავლეთის უფლებას შეაფასოს რა მათი წარმატება თუ წარუმატებლობა დასავლური სტანდარტების შესაბამისად<sup>3</sup>. თუ ავტორების ლოგიკას მივყვებით, მაშინ სავსებით მოსალოდნელი ხდება, რომ იმიტატორის როლის საწინააღმდეგო რეაქცია საბოლოოდ მემარჯვენე პოპულისტური და ნაციონალისტური დღის წესრიგი იქნება. ამ პროცესს ვხედავთ ამჟამად პოლონეთსა და უნგრეთშიც.

1989 წლის რევოლუციების მეორე პრობლემა იყო ის, რასაც ტიმოთი სნაიდერი უწოდებს გარდაუვალობის პოლიტიკას. მარტივად რომ ვთქვათ, ტიმოთი სნაიდერი გარდაუვალობის პოლიტიკას განსაზღვრავს დაშვებად, რომლის მიხედვითაც ისტორიას აქვს დანიშნულების წერტილი და როგორც კი საკმარისი საშუალებები აღმოჩნდება ამ წერტილის მისაღწევად, ის წყვეტს არსებობას. ევროპულ ვერსიაში („გარდაუვალობის პოლიტიკის“) ისტორიამ შექმნა ერები, რომელთაც ომისგან ისწავლეს მშვიდობის ფასი და ამგვარად, აირჩიეს ინტეგრაცია და კეთილდღეობა<sup>4</sup>. აღმოსავლეთ ევროპა გარდაუვალობის გზას დაადგა, რომელიც ბედნიერ დასასრულს ჰპირდებოდა. თუმცა, სამწუხაროდ, ისტორიას არ გააჩნია დანიშნულების წერტილი. ის გარდაუვალზე მეტად მუდმივად ცვალებადი პროცესია. იგივე ეხება ევროპასა და მის კონცეფციას ევროპელობის შესახებ. 1980-იანი წლების ბოლოს დასავლეთის დაბრუნება აღმოსავლეთში გულისხმობდა თავისუფლებას ნაციონალისტური მოძრაობებით. თუმცა, დასავლეთი იმ დროისათვის უკვე იცვლებოდა – ლიბერალიზმის ნაციონალისტური ელემენტი დიდი ხნის დავინწყებული იყო. დღეს დასავლეთის პოლიტიკური დღის წესრიგი უფრო მეტად დაკავშირებულია გლობალიზაციასთან, ინტეგრაციასთან, მიგრანტებთან და უმცირესობების უფლებებთან<sup>5</sup>, აღმოსავლეთი კი ამით დაბნეულია.

ამ დაბნეულობით სწრაფად ისარგებლა ზოგიერთმა გამჭრიახმა პოლიტიკოსმა აღმოსავლეთში, მაგალითად, ვიქტორ ორბანმა და იაროსლავ კაჩინსკიმ. ისინი მიხვდნენ, რომ ევროპული პოლიტიკა არათუ გარდაუვალი, არამედ ცვალებადი იყო და, მათი აზრით, ის არასწორი გზით იცვლებოდა. კაჩინსკისა და ორბანისთვის ევროპის პოლიტიკური დღის წესრიგი აღარ იყო ევროპული. ის კარგავდა თავის იდენტობას. ამდენად, აღმოსავლეთს აღარ შეეძლო

დასავლეთის იმიტირება. ერთადერთ გამოსავლად რჩებოდა დასავლეთისგან მიტოვებული ევროპულობის იდეის შენარჩუნება. ორბანმა და კაჩინსკიმ ეფექტურად გამოიყენეს მიგრანტების კრიზისი და დამატებით ის სხვა ნარატივებით გააღვივეს, მაგალითად, იმით, რომ ზოგიერთები დასავლეთიდან მათ ქვეყნებს LGBT იდეოლოგიას ახვევდნენ თავს. ამ კონტექსტში, ორივე ლიდერი აქტიურად წარმოჩნდა, როგორც ქრისტიანობის მედროსე. „ერთად ისინი მტკიცედ იბრძვიან მათი საზოგადოებების „ევროპულობის“ დასაცავად, რასაც თითქოს ემუქრება დასავლური მულტიკულტურალიზმი, კოსმოპოლიტიზმი და „პოლიტიკური კორექტულობა“<sup>6</sup>, – აღნიშნავენ იაკობი და რუპრეხტი. ევროპული პოპულისტური პოლიტიკის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ნამდვილი ევროპა აღმოსავლეთშია, ხოლო დასავლეთმა უღალატა კონტინენტის ღირებულებებს. ეს დისკურსი ასევე განმტკიცებულია ისტორიული ელემენტებით. ნარატივი აღმოსავლეთის ევროპული კულტურის ბასტიონად წარმოჩენის შესახებ საკმაოდ გაბატონებულია და უკავშირდება მათ ბრძოლას მონღოლებისა და მუსლიმების წინააღმდეგ. ამ მეტანარატივმა აღმოსავლეთ ევროპა აქცია მემარჯვენე მოძრაობების მექადა, პოპულისტებთან ერთად იტალიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან, რომლებიც ხშირად საჯაროდ აქებენ აღმოსავლეთევროპულ ლიდერებს.

აღმოსავლეთევროპულ პოლიტიკაში ძლიერი პოპულისტური ნარატივების გამოჩენამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. პირველი შედეგი შეიძლება დავინახოთ ეკონომიკაში, სადაც ფართოდ გამოიყენება სოციალური პროგრამები. აქ ნარატივი ეხებოდა იმას, რომ ეკონომიკურმა დღის წესრიგმა, რომელსაც სათავეში ბრიუსელი ედგა, ისეთი სარგებელი არ მოუტანა აღმოსავლეთს, როგორც შეეძლო. ამდენად, დადგა დედაქალაქების დრო, რომ თავად მიეხედათ საკუთარი თავისთვის. ამან გზა გაუხსნა რედისტრიბუციის პოლიტიკას, სადაც პოლონეთი დაწინაურდა. კაჩინსკის კანონისა და სამართლიანობის მმართველმა პარტიამ გაზარდა მინიმალური ხელფასი, შემოიღო 150 დოლარის ოდენობის სუბსიდიები ერთ ბავშვზე, 26 წლამდე მოქალაქეები გაათავისუფლა საშემოსავლო გადასახადისგან და ა.შ. ორბანის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა ამ კუთხით 36,000 დოლარამდე სესხის შეღავათის შემოღება იყო უნგრელი მშობლებისთვის. რედისტრიბუციამ

იმუშავა, ხელი არ შეუშალა ეკონომიკის ზრდას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღაფრთოვანა ხალხი. თუმცა, აღმოსავლეთის პოპულისტურ პოლიტიკას ბნელი მხარეც აქვს, რაც დემოკრატიის უკუსვლას განაპირობებს. მმართველ პარტიებს რეგიონში პრობლემები აქვთ დამოუკიდებელ მედიასთან, სასამართლოებთან, კანონის უზენაესობასთან, საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან და უკანასკნელ ხანებში, თვით მუზეუმებთანაც. ეს არის წერტილი, სადაც აღმოსავლეთ ევროპის პოპულისტური პოლიტიკის ნაწილობრივ ბუნებრივ-ისტორიული მიზეზები კარგავს ლეგიტიმურობას წესებზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოებების მომხრეთა თვალში. მეორე მხრივ, ეს ის ადგილია, სადაც ჩნდება რუსეთის როლიც. სადაც დემოკრატია მარცხდება, იქ არის რუსეთიც, ამ შემთხვევაში – პოპულიზმის ისტორიული მიზეზების გაღვივებითა და მისი ხელშემწყობების მხარდაჭერის გზით.

\* \* \*

ბევრი ანალიტიკოსის აზრით, რუსეთის დღევანდელი საგარეო-პოლიტიკური მიზანი უფრო მეტად სხვების ნაკლოვანებებით სარგებლობაა, ვიდრე საკუთარი მიმზიდველობის აფიშირება. კრემლი ირიბად აღიარებს კიდევ, რომ ის პოლიტიკურად არამიმზიდველია, ამის გამო კი მის ერთადერთ მიზნად რჩება ის, რომ სხვებიც მასსავით არამიმზიდველები იყვნენ. ამგვარად, რუსეთი პოპულისტურ მოძრაობებს ხედავს შესაძლებლობად, რადგან ამ ტიპის რეჟიმები, როგორც წესი, არადემოკრატიულები არიან. მას არაფრის შეთავაზება არ სჭირდება იმ ხალხისთვის, ვინც იმედგაცრუებულია დასავლეთით, თუმცა შეუძლია იყოს საყრდენი მათ მიერ არჩეული პოპულისტებისთვის. მაგალითად, რუსეთი აქტიურად უწყობს ხელს მემარჯვენე პარტიებს ევროპის მასშტაბით, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის გზით. რამდენად პირდაპირ არიან დაკავშირებული კრემლთან აღნიშნული პარტიები, სხვა საკითხია, თუმცა პოპულიზმის აღმასვლა ევროპაში მოსკოვის ინტერესის საგანია, რისი დანახვაც ადვილადაა შესაძლებელი. მაგალითად, პოლონეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრ სიკორსკის საიდუმლო ჩანაწერების გაჟონვის (შემთხვევას ხშირად უწოდებენ პოლონურ უოტერგეიტს) უკან, ითვლება, რომ რუსე-



თის სპეციალური სამსახურები იდგნენ.<sup>7</sup> ამ შემთხვევამ უზარმაზარი ზიანი მიაყენა პოლონეთის იმჟამინდელ მმართველ გუნდს და კაჩინსკის პარტიას პარლამენტზე სრული კონტროლის მოპოვებაში დაეხმარა. მოსკოვი აქტიურია უნგრეთშიც. მაგალითად, არსებობს ცნობები, რომ იობიკის (ულტრამემარჯვენე პარტია უნგრეთში) ნევერი ბელა კოვაჩი რუსეთისთვის ჯამშობდა მაშინ, როდესაც ის ევროპარლამენტში უნგრეთს წარმოადგენდა.<sup>8</sup> არაერთი შეკითხვა არსებობს ორბანის მოსკოვთან კავშირების შესახებაც, მათ შორის ისეთ საკითხებში, რომლებიც საექვო ფინანსურ გარიგებებს ეხება.<sup>9</sup> ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკანასკნელი სამთავრობო კოლაფსი ავსტრიაში ზუსტად მას შემდეგ მოხდა, რაც მემარჯვენე პოპულისტური პარტიის ლიდერი ჰანს კრისტიან სტრაშე სამართლიანად დაადანაშაულეს კორუფციაში, სადაც იკვეთებოდა მისი კავშირი რუს ოლიგარქთან.<sup>10</sup> რუსეთი ასევე დაკავშირებულია დასავლურ-ევროპულ პარტიებთან. მაგალითისთვის, მატეო სალვინი დაადანაშაულეს საკუთარი ლიგის პარტიისთვის რუსეთში ფინანსური მხარდაჭერის მოპოვების მცდელობებისთვის. მეორე მხრივ, ლე პენის პარტიამ საფრანგეთში სესხი სწორედ რუსული ბანკისგან მიიღო.<sup>11</sup> ამასთან, რუსეთის ჩარევა ბრექსიტის რეფერენდუმში „გასვლის“ დღის წესრიგის სასარგებლოდ დიდი ხნის განმავლობაში იყო განხილვის აქტიური თემა.<sup>12</sup>

რუსეთში ევროპული პოპულისტური მოძრაობებით აჟიტირების უკან რამდენიმე მიზეზი იმალება. რუსეთმა უკვე გაიზარა, რომ მას არაფერი აქვს შესათავაზებელი, არათუ სხვა ქვეყნებისთვის, არამედ საკუთარი მოქალაქეებისთვისაც კი. ამდენად, იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება და არ აღიქმებოდეს დრომოჭმულად, მოსკოვს სჭირდება იმის დემონსტრირება, რომ ის ერთადერთი არ არის, რომელსაც პრობლემები აქვს. მას ესაჭიროება აჩვენოს, რომ არც ლიბერალური დემოკრატიის ევროპული იდეა მუშაობს. ეს კრემლს რელევანტურობის შენარჩუნების შესაძლებლობას მისცემს. მაშინ, როდესაც ევროპულ იდეალებს საკუთარი ნაკლოვანებები აქვს, რომელსაც ზემოთ „გარდაუვალობის პოლიტიკა“ ვუნოდეთ, რუსეთი ცდილობს „მუდმივობის პოლიტიკის“ შემოთავაზებას – რომელიც ტიმოთი სნაიდერის კიდევ ერთი საინტერესო კონცეფციაა.

„მუდმივობა გარდაუვალობიდან წარმოდგება, ისევე, როგორც მოჩვენება – გვაშიდან. გარდაუვალობის პოლიტიკის კაპიტალისტური ვერსია, სადაც ბაზარი ანაცვლებს პოლიტიკას, წარმოქმნის უთანასწორობას, რაც ძირს უთხრის რწმენას პროგრესის შესახებ. სოციალური მობილობის შეწყვეტასთან ერთად, გარდაუვალობა გზას უხსნის მუდმივობას, ხოლო დემოკრატია – ოლიგარქიას. ოლიგარქი აბრუნებს უმანკო წარსულის იდეას, შესაძლოა, ფაშისტური იდეების მხარდაჭერითაც და სთავაზობს ყალბ დაცვას ადამიანებს, რომელთაც ნამდვილი ტკივილი აწუხებთ“.<sup>13</sup>

\* \* \*

პოპულისტური დღის წესრიგის ხელშეწყობით რუსეთი ცდილობს „დაყავი და იბატონე“ პოლიტიკის გატარებას. რუსეთს ეშინია გაერთიანებული და ინტეგრირებული ევროპის და ამიტომ ხელს უწყობს ნაციონალისტურ დღის წესრიგს. კრემლი ასევე სხვა მოსაზრებითაც ხელმძღვანელობს. პოპულისტური მოძრაობები წესისამებრ ძირს უთხრიან დემოკრატიას, რასაც ვხედავთ ზემოთ ჩამოთვლილ აღმოსავლეთევროპულ შემთხვევებში. თუ ევროპული დემოკრატია დამარცხდება, რუსეთს არ ექნება საკუთარი დემოკრატიული ნაკლოვანებებისთვის გამართლების მოძიების საჭიროება. თუ მოსკოვი მოისყიდის ევროპულ პოლიტიკურ ლიდერებს, მაშინ კორუფცია არა რუსულ პრობლემად, არამედ ახალ ნორმად იქცევა. რუსეთი ემხრობა მოსაზრებას, რომ სიმართლე არ არსებობს, რადგან მას ბევრი სახე აქვს. ამ ნარატივით რთულია დაამტკიცო, თუ რატომ არის პოსტკომუნისტური რუსული მოდელი დასავლურზე უარესი. კრემლი ამას აკეთებს ყალბი ამბების გავრცელებით, სადაც სიმართლე კარგავს სიმყარეს. რუსეთი კარგია წარმოსახვით მტრებთან ბრძოლის საქმეში და ორჯერ უკეთესი – სხვაგან იმავს ხელშეწყობაში. ამგვარად, ევროპის იდეოლოგიურ განხეთქილებაში რუსეთს ამ გზით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. George Friadman's speech at Brain Bar about the necessity of nationalism, [www.youtube.com/watch?v=eovlYNFopgw&t=4s](http://www.youtube.com/watch?v=eovlYNFopgw&t=4s)
2. Ivan Krastev and Stephen Holmes. "Explaining Eastern Europe: Imitation and Its Discontents." *Journal of Democracy*, no. 3 (2018): 117-28.
3. იქვე.
4. Tymothy Snyder. "Vladimir Putin's Politics of Eternity," *The Guardian*. [www.theguardian.com/news/2018/mar/16/vladimir-putin-russia-politics-of-eternity-timothy-snyder](http://www.theguardian.com/news/2018/mar/16/vladimir-putin-russia-politics-of-eternity-timothy-snyder) (13.10.2019)
5. Krastev, Holmes, *Op. cit.*
6. J. Mark, B. Iacob, T. Rupprecht and L. Spaskovska. (2019). 1989: *A Global History of Eastern Europe (New Approaches to European History)*. Cambridge: Cambridge University Press.
7. *BBC News*. "Poland Bugging: The Table Talk that Shook Warsaw," [www.bbc.com/news/world-europe-28001780](http://www.bbc.com/news/world-europe-28001780) (14.10.2019)
8. *Financial Times*. "Russia's Long Arm Reaches to the Right in Europe," [www.ft.com/content/48c4bfa6-7ca2-11e9-81d2-f785092ab560](http://www.ft.com/content/48c4bfa6-7ca2-11e9-81d2-f785092ab560) (Accessed on 14.10.2019)
9. იქვე.
10. *BBC News*. "Austria's Far-right Freedom Party Ministers all Resign amid Scandal," [www.bbc.com/news/world-europe-48335316](http://www.bbc.com/news/world-europe-48335316) (14.10.2019)
11. *The Washington Post*. "A Russian Bank Gave Marine Le Pen's Party a Loan. Then Weird Things Began Happening," [www.washingtonpost.com/world/national-security/a-russian-bank-gave-marine-le-pens-party-a-loan-then-weird-things-began-happening/2018/12/27/960c7906-d320-11e8-a275-81c671a50422\\_story.html](http://www.washingtonpost.com/world/national-security/a-russian-bank-gave-marine-le-pens-party-a-loan-then-weird-things-began-happening/2018/12/27/960c7906-d320-11e8-a275-81c671a50422_story.html) (14.10.2019)
12. *The Telegraph*. "Russian Trolls Sent Thousands of pro-Leave Messages on Day of Brexit Referendum, Twitter Data Reveals," [www.telegraph.co.uk/technology/2018/10/17/russian-iranian-twitter-trolls-sent-10-million-tweets-fake-news/](http://www.telegraph.co.uk/technology/2018/10/17/russian-iranian-twitter-trolls-sent-10-million-tweets-fake-news/) (14.10.2019)
13. Snyder. დასახ. ნაშრომი.